სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 დეკემბერი 2024

N 21/12740

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 9 დეკემბრის №22/9742 სკრინინგის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №11662), რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 58 000 $მ^2$ ფართობზე, 580 000 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებას.

მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ 2024 წლის 26 აპრილს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იყო №22/2948 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხებოდა მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 64 550 $მ^2$ ფართობზე, 645 500 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებას, რაზეც 2024 წლის 28 მაისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №271/ს) საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, 2024 წლის 26 ივნისს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იყო №22/4676 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხებოდა ზემოაღნიშნული ტერიტორიის მომიჯნავედ, 61 970 $მ^2$ ფართობზე, 619 700 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებას, რაზეც 2024 წლის 17 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება 368/ს) საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა ასევე დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გაცნობებთ, რომ თქვენი 2024 წლის 9 დეკემბრის №22/9742 სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მოიცავს 2024 წლის 28 მაისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №271/ს) გათვალისწინებულ საპროექტო ტერიტორიას, ხოლო მცირე ნაწილი – 2024 წლის 17 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება 368/ს) გათვალისწინებულ ტერიტორიას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, იხელმძღვანელოთ სააგენტოს მიერ 2024 წლის 28 მაისსა და 17 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №271/ს და 368/ს).

დანართი: ელ. ვერსია.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12740-21-2-202412161623

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE